

## ხელშეკრულება

### დომენური სახელის(ებ)ის რეგისტრაციის შესახებ

ერთის მხრივ შ.პ.ს „ქლინ ნეტი“ (ს/კ 400209261 იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი გლდანი ნაძალადევის რაიონი ლოტკინის მთას ქუჩა #51) როგორც .GE დომენის რეგისტრატორი შემდგომში წოდებული როგორც „რეგისტრატორი“ და მეორეს მხრივ აბონენტი შემდგომში წოდებული როგორც „რეგისტრანტი“ ერთად წოდებული როგორც „მხარეები“ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას ( ონლაინ ხელშეკრულება) და ვთანხმდებით შემდეგზე:

#### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. რეგისტრატორი უზრუნველყოფს ანაზღაურების სანაცვლოდ რეგისტრანტისთვის დომენური სახელ(ებ)ის [-] .GE (com.ge , .edu.ge , .org.ge , .pvt.ge , .net.ge , .school.ge) რეგისტრაციას ვებ გვერდზე [www.cleannet.ge](http://www.cleannet.ge) რეგისტრანტის უფლებამოსილი წარმომადგენლის მერ შევსებული განაცხადის საფუძველზე GE დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრირების წესებისა და პირობების (როგორც ეს გამოქვეყნებულია საიტზე [www.cleannet.ge](http://www.cleannet.ge) ) და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

1.2. დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესი და პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა (როგორც ეს გამოქვეყნებულია საიტზე [www.cleannet.ge](http://www.cleannet.ge) ) წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ხელშეკრულების დადებისას რეგისტრანტი ადასტურებს რომ გაეცნო და ეთანხმება აღნიშნულ წესებს.

1.3. დომენური სახელ(ებ)ის რეგისტრაციით რეგისტრანტი იღებს დომენური სახელით შეზღუდულ, გადაცემად, განახლებად, ექსკლუზიურ უფლებას იმ ვადითა და პირობებით როგორც ეს მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულებასა და დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებში.

## **2. მხარეთა განცხადებები და გარანტიები:**

### **2.1. რეგისტრანტი აცხადებს და გარანტიას იძლევა რომ:**

(i) მის მიერ სარეგისტრაციო განაცხადში მითითებული ინფორმაცია არის სრული და სწორი;

(ii) საკონტაქტო ელექტრონული ფოსტის მისამართი არის მოქმედი;

(iii) მოპოვებული აქვს ყველა საჭირო ნებართვა და თანხმობა ადმინისტრაციული საკონტაქტო პირისგან, ტექნიკური საკონტაქტო პირისგან, ბილინგ საკონტაქტო პირისგან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მათ შორის და არამხოლოდ, მათი საკონტაქტო ინფორმაციის გამოყენებასთან და ღომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესების მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებით;

(iv) რეგისტრანტს აქვს კანონიერი უფლება გამოიყენოს ღომენური სახელი;

(v) რეგისტრანტი აკმაყოფილებს ღომენური სახელის დასარეგისტრირებლად აუცილებელ მოთხოვნებს;

(vi) ღომენური სახელის რეგისტრაცია და გამოყენება, რამდენადაც ეს რეგისტრანტისთვის ცნობილია, არ არღვევს და არ დაარღვევს რაიმე იურიდიულად სავალდებულო ძალის მქონე აქტს, მარეგულირებელ კანონმდებლობას ან მესამე პირთა უფლებებს;

### **2.2. რეგისტრატორი აცხადებს და გარანტიას იძლევა რომ:**

(i) რეგისტრატორს აქვს ყველა შესაბამის უფლებამოსილება გააფორმოს ეს ხელშეკრულება და შეასრულოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება

(ii) რეგისტრატორის მიერ მიერ ამ ხელშეკრულების ხელმოწერა და შესრულება არ არღვევს არ ეწინააღმდეგება ან არ გაოიწვევს რეგისტრატორის მხირდან რაიმე შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევას, რომლის მხარე არის რეგისტრატორი ბ) არ დაარღვევს მარეგულირებელ კანონმდებლობას.

## **3. მხარეთა უფლებები და მოვალეობები**

### **3.1 რეგისტრანტს უფლება აქვს:**

3.1.1 მოსთხოვოს რეგისტრატორს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

### **3.1.2. რეგისტრანტი ვალდებულია:**

ა) გაეცნოს და შეასრულოს GE ღომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებს და პირობებს და პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტს. დოკუმენტები გამოქვეყნებულია საიტზე [www.cleannet.ge](http://www.cleannet.ge) და ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს

წარმოადგენს.

ბ) ყოველწლიურად, დროულად მოახდინოს მომსახურების ღირებულების გადახდა;

გ) მიანდოს რეგისტრატორს სარეგისტრაციო მონაცემების განსახლებლად აუცილებელი ინფორმაცია ;

დ) არ დაუშვას მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული დომენური სახელით დარეგისტრირებულ ინტერნეტგვერდზე დაუშვებელი კონტენტის განთავსება რომელიც :

- არის არაკანონიერი, მუქარის შემცველი, შეურაცმყოფელი, არღვევს საავტორო უფლებებს, პროპაგანდას უწევს რასობრივ, რელიგიურ, სქესობრივ, სოციალურ დისკრიმინაციას და აღვივებს შუღლს, შეიცავს შეურაცყოფას კონკრეტული პირებისა და ორგანიზაციების მიმართ;
  - არღვევს არასრულწლოვანთა უფლებებს და ხელს უწყობს მათთვის ნებისმიერი ფორმით ზიანის მიყენებას;
  - არღვევს ან ავიწროვებს უმცირესობათა უფლებებს;
  - რომ დაუშვებელია იმ კონტენტების ჩატვირთვა, გაგზავნა, გადაცემა ან სხვა სახით განთავსება, რომლებზეც რეგისტრანტს არ გაგაჩნია უფლება გახადოთ საჯარო საქართველოს კანონმდებლობით, ან რომელიმე ხელშეკრულებით;
  - იმ კონტენტების ჩატვირთვა, გაგზავნა, გადაცემა ან სხვა სახით განთავსება, რომლებიც ეხება რაიმე პატენტს, სავაჭრო ნიშანს, კომერციულ საიდუმლიებას ან არღვევს მესამე მხარის საავტორო უფლებებს;
  - იმ კონტენტების ჩატვირთვა, გაგზავნა, გადაცემა ან სხვა სახით განთავსება, რომლებზეც შეიცავენ სპამს(მათ შორის საძიებო), უცხო ელექტრონულ მისამართებს;
  - იმ კონტენტების ჩატვირთვა, გაგზავნა, გადაცემა ან სხვა სახით განთავსება, რომლებიც შეიცავენ ვირუსებსა და სხვა კომპიუტერულ კოდებს, ფაილებს და პროგრამებს, რომლებიც განსაზღვრულნი არიან პროგრამების, კომპიუტერებისა და ტელესაკომუნიკაციო მოწყობილობათა ფუნქციონალური შეზღუდვის, დარღვევისა თუ განადგურებისათვის. ასევე კომერციული პროგრამული პროდუქტების სერიული ნომრების, კოდების, ლოგინების, პაროლების ან სხვა რაიმე ინფორმაციის გამოქვეყნება, რაც ხელს შეუწყობს ინტერნეტის ფასიან რესურსებში არასანქცირებულ ხელმისაწვდომობას, აგრეთვე ზემოთაღნიშნულ ინფორმაციაზე ლინკების განთავსება;
  - მესამე პირთა შესახებ ინფორმაციის შეგროვება და შენახვა;
  - საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო ნორმების შეგნებული დარღვევა;
- ე) არ დაუშვას მის მიერ ვებგვერდზე ([www.cleannet.ge/secure](http://www.cleannet.ge/secure)) რეგისტრაციის დროს მითითებული სახელისა და პაროლის გადაცემა მესამე პირებზე;

ვ) წინამდებარე ხელშეკრულება გააფორმოს საკუთარი საჭიროებისათვის ან იმოქმედოს სხვა (მესამე) პირ(ებ)ის დავალებით ან სასარგებლოდ;

3.2. რეგისტრატორს უფლება აქვს მოსთხოვოს რეგისტრანტს წინამდებარე ხელშეკრულებითა და GE დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებითა და პირობებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

#### **4. ანაზღაურების წესი**

4.1. ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში აღნიშნული ერთი [-] .GE (com.ge , .edu.ge , .org.ge , .pvt.ge , .net.ge , .school.ge) ინტერნეტდომენური სახელის სარგებლობაში გადაცემისათვის განსაზღვრული ყოველწლიური ღირებულება შეადგენს შპს ქლინ ნეტის ვებ-გვერდზე (cleannet.ge ; cleannet.ge/Domains.htm) გამოქვეყნებულ ტარიფებს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

4.2. ამ ხელშეკრულების ავტომატურად გაგრძელების შემთხვევაში რეგისტრანტი იღებს ვალდებულებას გადაიხადოს წინამდებარე ხელშეკრულების 1.1. პუნქტში დომენური სახელით სარგებლობის უფლების გადაცემისათვის განსაზღვრული წლიური საფასური წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე.

#### **5. ხელშეკრულების ძალაში შესვლა, მოქმედების და შეწყვეტის წესი**

5.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის რეგისტრანტის მიერ ონლაინ განაცხადის შევსების დღიდან და მოქმედებს დომენის რეგისტრაციის მომენტიდან 1 წლის მანძილზე. დომენი რეგისტრირებულად ითვლება რეგისტრანტის მიერ თანხის გადახდის და თანხის რეგისტრატორის ბილინგში ასახვის მომენტიდან. რეგისტრანტის მიერ დომენის ღირებულების გადახდამდე დომენის რეგისტრაცია (მოლოდინის რეჟიმი) არ წარმოებს და დომენი ითვლება რეგისტრაციისათვის თავისუფლად. ამასთან, თუ რეგისტრანტის მიერ დომენის რეგისტრაციაზე განაცხადის მომენტიდან 7 კალენდარული დღის მანძილზე დომენის რეგისტრაციის ღირებულება არ იქნება ანაზღაურებული, რეგისტრაციის განაცხადი გაუქმდება.

5.2. იმ შემთხვევაში თუ წინამდებარე ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე რეგისტრანტის მიერ განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების საგნის - დომენური სახელის დროებითი სარგებლობისათვის განსაზღვრული წლიური საფასურის გადახდა მომდევნო სააღრიცხვო პერიოდზე, წინამდებარე ხელშეკრულება ყველა მისი თანდართული წერილობითი (მათ შორის ელექტრონული) დოკუმენტით ავტომატურად გაგრძელდება 1 (ერთი) კალენდარული წლის ვადით იმავე პირობებით. აღნიშნული პირობა ვრცელდება ყოველ მომდევნო პერიოდზე.

5.3. დომენის რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდგომ, იმ შემთხვევაში თუ დომენის რეგისტრაციის განახლების ღირებულება არ იქნება გადახდილი დროულად, რეგისტრანტს განახლებისათვის ეძლევა სარეგისტრაციო ვადის გასვლიდან 30 კალენდარული დღე, რა პერიოდშიც დომენი რჩება რეგისტრანტის სარგებლობაში თუმცა დომენი ამ პერიოდით შეჩერებულია. 30 კალენდარული დღის გასვლის შემდგომ დომენით სარგებლობის უფლება უქმდება და ვადის თავისუფალ რეგისტრაციაში.

#### 5.4. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია

ა) მხარეთა შეთანხმება.

ბ) რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევა.

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძველი.

5.5. მოქმედი კანონმდებლობის ცვლილება რომელიც ცვლის ან აუქმებს ამ ხელშეკრულების რომელიმე დებულებას არ იწვევს მთლიანი ხელშეკრულების ბათლად ცნობას, ასევე ამ ხელშეკრულების რომელიმე დებულების ბათლად ცნობა არ იწვევს მთლიანი ხელშეკრულების ბათლად ცნობას.

### 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. რეგისტრანტი მიერ დომენური სახელის არამართლზომიერ გამოყენების შემთხვევაში რეგისტრანტი ვალდებულია აანაზღაუროს განუული ხარჯი ან/და მიყენებული ზიანი.

### 7. ფორს-მაჟორი

7.1. მხარეები ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნაწილობრივ ან მთლიანი შეუსრულებლობისთვის თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან თუ ნაწილობრივ ან მთლიანი შეუსრულებლობა გამოწვეულია გაფიცვის ომის წყაღდილობის ან სხვა სტიქიური მოვლენის შედეგად.

### 8. დავის ალტერნატიული მოგვარების წესი

8.1. იმ შემთხვევაში, თუ რეგისტრირდება დომენური სახელი, რეგისტრანტი თანხმობას აცხადებს დავების მოგვარების პოლიტიკაზე, მათ შორის, „წესებზე“ და WIPO-ს „დამატებით წესებზე“ (როგორც ეს განმარტებულია დავების მოგვარების პოლიტიკაში), რომლებიც წარმოადგენს ამ დომენის რეგულაციის განუყოფელ ნაწილს. ძალაში მყოფი დავების მოგვარების პოლიტიკა ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე: : <http://nic.ge/Service/Rules>

8.2. რეგისტრანტი თანხმობას აცხადებს, რომ 8.1 პუნქტის შესაბამისად დავები განიხილოს WIPO-ს არბიტრაჟისა და მედიაციის ცენტრმა. დავის განხილვის ენა უნდა იყოს ინგლისური.

8.3 ადმინისტრატორს, რეგისტრატორსა და რეგისტრანტს შორის ურთიერთობებზე და დომენის რეგულაციაზე ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობა.

8.4 დომენური სახელის რეგისტრაციასთან დაკავშირებით რეგისტრანტსა და რეგისტრატორს ასევე რეგისტრატორსა და ადმინისტრატორს შორის დავა უნდა

გადაწყდეს მოლაპარაკების გზით. მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს საქართველოს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11.5 რეგისტრატორი უფლებამოსილია რეგისტრანტსა და რეგისტრატორს შორისგასაფორმებელი ხელშეკრულებით განსაზღვროს რეგისტრანტს და რეგისტრატორს შორის წარმოშობილი დავების მოგვარების ალტერნატიული მექანიზმი. რეგისტრატორი არ არის უფლებამოსილი რეგისტრანტსა და რეგისტრატორს შორისგასაფორმებელი ხელშეკრულებით განსაზღვროს WIPO-ს არბიტრაჟისა დამედიაციის ცენტრის გარდა სხვა კომპეტენტური ორგანო მესამე პირებსა დარეგისტრანტს შორის დომენურ სახელთან დაკავშირებული ისეთი დავისგანსახილველად, რომელიც წარმოიშობა დავების მოგვარების პოლიტიკის შესაბამისად

## **9. პერსონალური მონაცემების დამუშავება**

9.1. რეგისტრანტი თანხმება რეგისტრატორმა რეგისტრანტის პერსონალური მონაცემები დაამუშავოს საქართველოს კანონმდებლობის და პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის შესაბამისად

9.2. რეგისტრანტი თანხმობას აცხადებს რეგისტრატორმა მისი პერსონალური მონაცემები გადასცეს ადმინისტრატორს - შპს „კავკასუს ონლინი“

## **10. ხელშეკრულების სხვა პირობები:**

10.1.. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენებზე. ხელშეკრულების ქართულ და ინგლისურ ვერსიებს გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა და სავალდებულოა შესასრულებლად მხარეებისათვის.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მუხლის (ან მისი ნაწილის) ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას.

10.3.. ხელშეკრულების მუხლებს წინამდებარეული აქვს სათაურები ხელშეკრულების ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად და ეს სათაურები არ მიიჩნევა ამ ხელშეკრულების რომელიმე დებულების განმსაზღვრელად, შემცვლელად ან განმმარტებლად.

10.4. ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე დამატებით სიტყვიერ შეთანხმებას.

10.5. ხელშეკრულება განიხილება GE დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებთან ერთად, რომელიც ასევე გამოქვეყნებული ვებ გვერდზე [www.cleannet.ge](http://www.cleannet.ge) , ძალაშია ხელშეკრულებასთან ერთად და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. .GE დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებსა და წინამდებარე ხელშეკრულების ნებისიერ პირობას შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში

უპირატესი ურიდიული ძალა ენიჭება .GE დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებში მოცემულ პირობებს.

10.6. ხელშეკრულებას შეიძლება თან ერთვოდეს დოკუმენტები, რომელიც დაკავშირებულია მასთან და ასევე წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს (რეგისტრანტის მიერ ვებგვერდზე [www.cleannet.ge/secure](http://www.cleannet.ge/secure) შევსებული ელ. განაცხადი დომენური სახელის რეგისტრაციაზე). ყოველივე ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად, რეგისტრატორმა გამოაქვეყნა ეს ხელშეკრულება ვებ გვერდზე [www.cleannet.ge](http://www.cleannet.ge) ხოლო რეგისტრანტმა საკუთარი უფლებამოსილი წარმომადგენლების საშუალებითა და ვებ გვერდზე [cleannet.ge/secure](http://cleannet.ge/secure) ამ ხელშეკრულებაზე თანხმობის გაცხადებით გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება.

10.7. რეგისტრატორი უფლებამოსილია ცალმხრივად შეიტანოს ცვლილება ამ ხელშეკრულებაში, მათ შორის, შეცვალოს ხელშეკრულების Error: Reference source not found და Error: Reference source not found პუნქტებით განსაზღვრული რეგისტრაციის საფასური ან/და რეგისტრაციის განახლების საფასური დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესების შესაბამისად, ასეთი ცვლილებების ძალაში შესვლამდე სულ მცირე 1 (ერთი) კალენდარული თვით ადრე ცვლილებების სკუთარ ვებგვერდზე [-] გამოქვეყნებითა და რეგისტრანტისთვის შეტყობინების გაგზავნის გზით.

#### **რეგისტრატორი:**

შპს „ქლინ ნეტი“

საიდენტიფიკაციო კოდი: 400209261

მისამართი: ქ. თბილისი გლდანი ნაძალადევის რაიონი ლოტკინის მთას ქუჩა #51

ტელეფონი: 2 19 50 46

მომსახურე ბანკი: "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი: BAGAGE22

ა / ა : GE69BG0000000104551600

## **Domain Name Registration Agreement**

On the one hand, Cleannet Ltd. (to / and 400209261 legal address: Tbilisi, Gldani, Nadzaladevi district, Lotkini st. No. 51) as a registrar of the domain .GE, later named as a registrar, and on the other hand a subscriber, later named as a registrant, together as a “party” on the basis of the current legislation of Georgia we conclude this agreement (online agreement) and agree with the following:

### **1. Subject of the contract**

1.1. The registrar provides in return for payment domain name registration {-}. GE (com.ge, .edu.ge, org. GE domain (as published on [www.cleannet.ge](http://www.cleannet.ge)) and Georgian legislation.

1.2. The rule of registrations and administrations of the domain and personal data protection policy (as published on the website [www.cleannet.ge](http://www.cleannet.ge)) is an integral part of this



contract and at the time of the conclusion of the contract the registrant confirms that he has read and agrees with these terms.

1.3. By registering domain names, the registrant takes with the domain name a limited, transferred, renewable, exclusive right according to that date and conditions as given in the rights of registrations and administrations of the domain and this agreement.

## **2. Declarations and guarantees of the parties:**

### **2.1. Registrant declares and gives a guarantee that:**

- (i) The information provided in the registration statements is complete and correct;
- (ii) a contact email address is valid;

(iii) found all the necessary rights and agreements from the administrative contact person, from the technical contact person, from the billing of the contact person (if such exists), including, and not only, about the use of their contact information and fulfillment of the requirements of the administrative rules and domain registrations;

(iv) A registrant has the legal right to use a domain name;

(v) the registrant meets the mandatory requirements for registering a domain name;

(vi) The registration and use of the domain name, as it is familiar to the registrant, does not violate or violate any act of legal force, the regulated legislation or the rights of a third party;

### **2.2. The registrar declares and gives a guarantee that:**

- (i) That the registrar has the right to execute this agreement and fulfill obligations under this agreement
- (ii) Signing and execution of this contract by the registrar does not violate, does not counteract, and will not cause a violation of the obligations accounted for by the agreement on the part of the registrar, the party of which is the registrar b) will not violate the registered legislation.

## **3. Rights and obligations of the parties**

### 3.1 The registrant has the right to:

#### 3.1.1 Require the registrar to fulfill obligations under the contract.

#### 3.1.2. Registrant must:

a) Be familiar with and enforce the rights and conditions of the administrations and registrations of the .GE domain and documents protecting personal data policy. The document is published on the website [www.cleannet.ge](http://www.cleannet.ge) and represents an integral part of this agreement.

b) Annually, make timely payment for the cost of the service;

c) Deliver information to the registrar that is required for renewal of registration data;

d) Prevent the publication of an unacceptable content on a web page registered with a domain name, transferred for temporary use, which:

- Is legal, blackmail, offensive, infringes copyrights, propagandizes racial, religious, sexual, social discrimination and aggravates the problem, includes insulting specific individuals and organizations;

- Violates the rights of minors and helps to harm them in any form;

- violates or infringes upon minority rights;

- It is impossible to load with those contents, send, transfer or publish by another type, the right to which the registrant does not have the right to under the legislation of Georgia, or under any contract;

- Downloading, sending, transmitting or publishing those computers that relate to a patent, trademark, trade secret or violate the copyrights of a third party;

- Download, forward, transmit or publish those components that include spam (including search engine), foreign e-mail addresses;

- Download, transfer, transfer or publish those components that include viruses and other computer codes, files and programs that are defined for the functional limitation, violation or destruction of telecommunications installations, computers, programs. Also, the publication of serial numbers of commercial software products, codes, logins, passwords or other information that will help the unauthorized achievement of valuable Internet resources, as well as the publication of links to the above information;

- Collection and preservation of information about the third person;

- Reasonable violation of the legislation of Georgia and international norms;

- e) Prevent the transfer of the name and password specified during registration on the webpage ( [www.cleannet.ge/secure](http://www.cleannet.ge/secure) ) to a third party;

- f) To draw up this agreement for your own needs or to act on the order or in favor of third parties;

3.2. The registrar has the right to request the registrant to fulfill the conditions and rules of administrations and registrations of the GE domain and under this agreement.

#### 4. Payment method

4.1. For the first clause of this agreement, the annual cost determined for the transfer to the use of the Internet domain name {-}. GE (com.ge, .edu.ge, .org.ge, .pvt.ge, .net.ge, .school.ge) complies with the payment specified by the legislation of the tariffs published on the Cleannet web page (cleannet.ge; cleannet.ge/Domains.htm).

4.2. In the case of an automatic renewal of the contract, the registrant takes the obligation to pay the annual cost determined for the transfer of the right to use the domain name under clause 1.1 of this contract before the expiration of the contract.

#### 5. Entry into force of the contract, the rule of action and its termination

5.1. This contract entered into force on the day of filling in the online application of the registrants and is valid from the time of registration of the domain for one year. The domain is considered to be registered from the moment of payment of the amount by the registrant and the amount reflected on the registrar billing. Until the registrant domain cost is paid, the domain reservation (in standby mode) is not active and the domain is considered free for registrations. At the same time, if after registering the

domain for registration by the registrant within 7 calendar days the cost of registering the domain is not paid, the registration statement will be destroyed.

5.2. In the event that before the expiration of the contract by the registrant, the annual cost for the next billing period determined for the temporary use of the domain name subject of this contract is paid, this contract together with the attached (including electronic) documents will automatically last for 1 (one) calendar year according to the same conditions. This condition applies to each subsequent period.

5.3. After the expiration of domain registrations, including if the cost of domain registration renewal is not paid in time, the registrant is given 30 calendar days to renew, during which the domain remains in use by the registrant, although this domain is suspended for this period. After the expiration of 30 days, the right to use is destroyed and transferred to free use.

5.4. The basis for the termination of the contract is:

- a) agreement of the parties.
- b) Violation of the terms of the contract by any party.
- c) Other grounds covered by the legislation of Georgia.

5.5. A change in the existing law, which changes or destroys any provisions of this agreement, does not cause the balance of the entire contract, and the meaning of the balance of any provision of this contract does not cause a balance of the entire contract.

## **6. Responsibilities of the parties**

6.1. In case of illegal use of the domain name by the registrant, the registrant is obliged to pay a fine and / or damage.

## **7. Force Majeure**

7.1. For partial or complete failure to perform obligations under the contract, the parties are relieved from liability if complete or partial failure to comply is caused by a strike, war, flood or natural disaster.

## **8. The rule of alternative dispute resolution**

8.1. In the event that a domain name is registered, the registrant agrees with the policy of resolving the dispute, including the “rules” and the “additional rules” of the WIPO (as defined in the dispute resolution policy), which are an integral part of the regulation of this domain. The existing dispute resolution policy is available on the following web page: <http://nic.ge/Service/Rules>

8.2. The registrant agrees that, in accordance with clause 8.1, disputes will be considered by WIPO arbitration and the mediation center. The language of the dispute should be English.

8.3 The legislation of Georgia applies to the relationship of the administrator, registrar and registrant and regulations of the domain.

8.4 Registrant and registrar dispute in connection with domain name registration, also between the registrar and the administrator should be resolved through negotiations. In case of failure to reach an agreement between the parties, the dispute shall be considered by the Court of Georgia in accordance with the legislation of Georgia.

11.5 The registrar is entitled by agreement between the registrant and the registrar to determine an alternative mechanism for resolving disputes between the registrant and the registrar. The registrar is not authorized by the registrant and the registrar to determine another competent authority other than WIPO arbitration and a mediation center between third parties and the registrant to resolve a dispute related to the domain name that will be made in accordance with the dispute resolution policy.

## **9. Development of personal data**

9.1. The registrant agrees that the registrar develops personal register data in accordance with the legislation of Georgia and personal data protection policies.

9.2. Registrant agrees for the registrar to transfer his personal data to the administrator - Ltd “Caucasus Online”

## **10. Other terms of the contract**

10.1 .. The contract is written in Georgian and English. The Georgian and English versions of the contract have equal legal force and must be executed by the parties.

10.2. The balance of any item (or part thereof) of this contract will not cause the balance of the entire contract.

10.3 .. Contract clauses have tables of contents to facilitate the use of contractual text and these tables of contents are not determinative, modifying or explaining any clause of the contract.

10.4. The contract does not include any additional oral agreement.

10.5. The agreement is settled together with the rules of registrations and administrations of the GE domain, which is also published on the web page [www.cleannet.ge](http://www.cleannet.ge), in force together with the agreement and represents its integral part. In the case of countering any condition of the contract and the rules of administrations and registrations of the .GE domain, the terms in the rules of registrations and administrations of the .GE domain have the legal effect of the .GE domain

10.6. The contract may be accompanied by documents that are associated with it and also represent its integral part (e-application filled out on the web page [www.cleannet.ge/secure](http://www.cleannet.ge/secure) by the registrant for the registration of a domain name). To confirm the above, the registrar published this agreement on the web page [www.cleannet.ge](http://www.cleannet.ge), and the registrant with the help of its authorized representatives and on the web page [www.cleannet.ge/secure](http://www.cleannet.ge/secure) with the agreement of the agreement issued this agreement

10.7. The registrar has the right to unilaterally make changes to this agreement, including changing the Error: Reference source not found registration costs, specified in paragraphs and / or the cost of renewing registrations in accordance with the rules of administrations and domain registrations, for 1 (one ) calendar month before the changes take effect on the own webpage {-} by publishing and forwarding the message to the registrant.

**Registrar**

Ltd "Cleannet"

Identification number: 400209261

Address: Tbilisi, Gldani Nadzaladevi, Lotkini st. #51

Telephone: 2 19 50 46

Bank: "Bank of Georgia"

Swift Code: BAGAGE22

A/N : GE69BG0000000104551600